კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №11
2024 წლის 21 ივნისი

ქ. კასპი

კასპის მუნიციპალიტეტში, წინარეხის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში მდებარე სოფელ გომიჯვარში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს.კ. 67.09.31.185 და ს.კ 67.09.31.186) სააგარაკე საცხოვრებელი სახლების განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ საქართველოს კანონის IV თავის, „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონის 38-ე, 41-ე, 43-ე და 47 მუხლების, საქართველოს მთავრობის 2019 წლის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ მე-16 მუხლისა და მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს კასპის მუნიციპალიტეტში, წინარეხის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში მდებარე სოფელ გომიჯვარში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს.კ.67.09.31.185 და ს.კ 67.09.31.186) სააგარაკე საცხოვრებელი სახლების მშენებლობის, კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 16.02. №2 განკარგულებით დამტკიცებული კონცეფციის გათვალისწინებით შემუშავებული განაშენიანების დეტალური გეგმა (ტერიტორიათა გამოყენების რუკისა და განაშენიანების მართვის რეგლამენტის სახით), რომელიც თან ერთვის ამ დადგენილებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. განაშენიანების დეტალური გეგმის ტექსტური ნაწილი (დასაბუთება და მისი დანართები) წარმოადგენს გეგმის დამტკიცების წინაპირობას და განხილულ იქნას მასთან ერთად;

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კასპის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **შოთა ბეგლარაშვილი**